საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შარტავას №75, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. თორმეტ სართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით“.

ამხანაგობა „შარტავას ქუჩა 75-2007“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2015 წ. სექტემბერში შემოწმებული იქნა ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, შარტავას ქ. №75-ის ტერიტორიაზე 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შეასრულა ინჟ. გეოლოგმა გ. ბიძინაშვილმა თავის ჯგუფთან ერთად 2015 წ. მათ მიერ არის შესრულებული აგრეთვე გრუნტების თვისებათა შესწავლა და გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა, რათა დადგინდეს გრუნტის წლის აგრესიულობა ბეტონის ნაკეთობის მიმართ.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც.
6. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 2 ფურც.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის ზოგადი გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები. მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენს - 28 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასადგენად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე გამოყოფილი იქნა გეოლოგიურ ჭრილში გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი (t, Q_{IV})
2. ფენა 2 – თიხნარი (dp, Q_{IV})
3. ფენა 3 – კენჭნარი (d, Q_{IV})
4. ფენა 4 – არგილიტები და ქვიშაქვები (P_2^3)

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის გარდა (ნაყარისა და თიხნარისა) დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები, რის საფუძველზეც ავტორი იძლევა თავის წინადადებას შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა 4,3-4,6 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობის მიმართ, ასევე კენჭნარებიც აგრესიულები არიან ბეტონის ნაკეთობის მიმართ, ვინაიდან შეიცავენ თაბაშირს.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, შარტავას ქ. №75-ის ტერიტორიაზე 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ მოედანზე აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები.

ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი, ტმდ
პროფესორი გ. ჭოხონელიძე